საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ასათიანი ვლადიმერ ანთიმოზის ძე

ასათიანი ვლადიმერ ანთიმოზის ძე (19. VII. 1928, თბილისი, –17. I.. 2012, იქვე), ისტორიკოსი. ისტ. მეცნიერებათა დოქტორი (1999), პროფესორი (2001).

დაამთავრა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტის ისტ. ფაკ-ტი (1950).

1958-იდან მუშაობდა დიდი საბჭ. ენციკლოპედიის რედაქციაში. 1968-იდან იყო კინოპროპაგანდის ბიუროს სალექციო განყ-ბის გამგე, 1965-იდან – საქართვ. მეცნ. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი, 1971–76 – განყ-ბის გამგე.

1976-იდან მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. და ეთნოლოგიის ინ-ტში. 1999-იდან იყო სტუ-ში საქართვ. ისტ. და კულტ. კათედრის პროფესორი, კითხულობდა კონფლიქტოლოგიისა და უახლესი ისტ. კურსს. ძირითადად მუშაობდა II მსოფლიო ომის ისტ. საკითხებზე (საქართველოს მონაწილეობა კავკასიისათვის ბრძოლაში, და ომის პერიოდში მისი სახ. მეურნეობის როლი და სხვ.).